საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2020 წლის 12 ოქტომბერი**

დისციპლინური საქმე №62/19
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- მიერ 2019 წლის 4 აპრილს წარდგენილი №-- და №-- საჩივრების საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლის -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 29 მაისის გადაწყვეტილებით გაერთიანდა №-- და №-- საჩივრები.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 4 ივნისის №62/19 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარედგინა 2020 წლის 12 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე.

1.დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ მოსამართლე უფლებამოსილებას ახორციელებს არაჯეროვნად, არ აკმაყოფილებს შუამდგომლობას და არ იღებს განჩინებას სარჩელის საჯაროდ გამოქვეყნების თაობაზე.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილ ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. 2018 წლის 11 მაისს -- -- წარმომადგენელმა სარჩელით მიმართა -- -- სასამართლოს, მოპასუხის - -- --, -- --, -- -- და -- -- მიმართ, თანხის დაკისრების მოთხოვნით (10,438.05 ლარი). 2018 წლის 11 მაისის განჩინებით, -- -- შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე დაკმაყოფილდა; -- -- აეკრძალა მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა, რომელიც მდებარეობს -- --.

წარდგენილი სარჩელი მიღებულ იქნა განსახილველად, მოსარჩელეს დაევალა გზავნილის მოპასუხეთათვის ჩაბარება და ამისათვის განესაზღვრა 2 თვიანი ვადა. 2018 წლის 13 ივნისს მოსარჩელის წარმომადგენელმა სასამართლოში წარადგინა განცხადება, სადაც აღნიშნა, რომ მის მიერ სარჩელი ჩაბარდა მხოლოდ ერთ მოპასუხე - -- --, ხოლო დანარჩენებს გზავნილი ვერ ჩაბარდათ, რის გამოც იშუამდგომლა მოპასუხეებისათვის სასამართლო გზავნილის პოლიციის საშუალებით ან საჯარო პუბლიკაციის გზით ჩაბარება.

2019 წლის 30 მაისის მდგომარეობით, ზემოაღნიშნულ განცხადებას მოსამართლის მხრიდან არავითარი რეაგირება არ მოჰყოლია.

2.2. 2018 წლის 11 იანვარს -- -- სარჩელით მიმართა -- -- სასამართლოს, მოპასუხის - -- --, -- --, -- -- და -- -- მიმართ, თანხის დაკისრების მოთხოვნით (2,106.39 აშშ დოლარი) (განმხილველი მოსამართლე -- --). 2018 წლის 12 იანვრის განჩინებით მოსამართლე -- -- დააკმაყოფილა -- -- შუამდგომლობა, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გატარების თაობაზე. -- -- (პ/ნ --) აეკრძალა მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა, რომელიც მდებარეობს -- --; -- -- სარჩელი მიღებულ იქნა განსახილველად, მოსარჩელეს განესაზღვრა 2 თვიანი ვადა სასამართლო გზავნილის მოპასუხეებისათვის გადასაცემად.

2018 წლის 26 იანვრიდან, მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --.

2018 წლის 15 თებერვალს მოსარჩელის წარმომადგენელმა სასამართლოს მიმართა განცხადებით, მან აღნიშნა, რომ ერთ-ერთ მოპასუხეს -- -- სარჩელი ჩააბარა, ხოლო დანარჩენ მოპასუხეებზე იშუამდგომლა სარჩელის საჯარო შეტყობინების გზით ჩაბარება. სასამართლომ მოპასუხეებს -- -- და -- -- სარჩელი ჩააბარა პოლიციის საშუალებით (26.12.2018 წელს), ხოლო -- -- სარჩელი ვერ ჩაბარდა, ვინაიდან მან 2016 წელს დატოვა ქვეყანა.

მოსარჩელის წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა სასამართლოს და სარჩელი გაიხმო მეორე სასარჩელო მოთხოვნის ნაწილში, 2019 წლის 16 მაისის განჩინებით სარჩელი ნაწილობრივ დარჩა განუხილველი.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 4 ივნისის დასკვნა:

-- -- მიერ 2019 წლის 4 აპრილს წარდგენილი №-- და №-- საჩივრების საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს (2020 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქცია).

4. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება - „მოსამართლის მიერ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა.“ განსახილველ შემთხვევაში იმისათვის, რომ სრულყოფილად შეფასდეს საჩივრის საფუძველზე გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოებები შეიცავენ თუ არა მოსამართლის მიერ შესაბამისი პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, აუცილებელია განისაზღვროს თავისი არსით რას წარმოადგენს - საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 ნაწილის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ვადის დარღვევის მიზეზი არასაპატიოდ არ ჩაითვლება, თუ მოსამართლემ აღნიშნული ვადის დაცვა ობიექტურ გარემოებათა (საქმის სიმრავლე, საქმის სირთულე და სხვა) გამო ვერ შეძლო. არსებითად დარღვევად უნდა ჩაითვალოს მოსამართლის მიერ მხარის კონსტიტუციური, ასევე ფუნდამენტური საპროცესო უფლებების ან სამართლიანი პროცესის ძირითადი გარანტიების დარღვევა, რამაც ზიანი მიაყენა მხარის, სასამართლოს ან საჯარო ინტერესს.

ვადებს მნიშვნელოვანი წესრიგი შეაქვს სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობის პროცესში. ვადა მნიშვნელოვან საჯარო ინტერესებს ემსახურება, როგორებიცაა: ეფექტური, ობიექტური და სამართლიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფა; სამართლებრივი უსაფრთხოების, განსაზღვრულობის, სამოქალაქო ურთიერთობებში წესრიგის და სტაბილურობის დამყარება.[1]

მოსამართლის მიერ საქმის განხილვის შესაძლო ვადის დარღვევაზე მსჯელობისას აუცილებელია ყურადღება მიექცეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს (რომელიც მოიცავს სამართლიანი სასამართლოს მიერ საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლებას) და იმ კრიტერიუმებს, რასაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო იყენებს მე-6 მუხლის დარღვევის დადგენის დროს (საქმის განხილვის გონივრული ვადის დარღვევის გამო).

საქმის განხილვის დაწყების შემდეგ იყო თუ არა საქმის განხილვის ვადები დარღვეული „არასაპატიოდ", უნდა შეფასდეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სასამართლო პრაქტიკით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად, კერძოდ:

1. საქმის სირთულე, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს, როგორც საქმის ფაქტობრივ, ისე სამართლებრივ სირთულესთან (Katte Klitsche de la Grande v. Italy, §55; Papachelas v. Greece, §39); რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს რამდენიმე მხარის საქმეში ჩაბმასთან (H. V. United Kingdom, §72); მტკიცებულებების გამოკვლევასთან (Human v. Poland, §63) და ა.შ. ამასთან, იმ შემთხვევაშიც როდესაც საქმე თავისი არსით სირთულით არ ხასიათდება, თუმცა ეროვნული კანონმდებლობა არ არის ნათელი ამ გარემოებამაც შეიძლება საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება გამოიწვიოს (Lupeni Greeck Catholic Parish and others v. Romania, §150);
2. მხარეთა მოქმედებები, რაც გულისხმობს მაგალითად, ადვოკატთა ხშირ ცვლილებას (Koenig v. Germany, §103), შუამდგომლობებს, რომელიც გამიზნულია პროცესის გასაჭიანურებლად, ან უბრალოდ დაკავშირებულია გარკვეულ ვადებთან (Acquaviva v. France, §61), ასევე სხვა მოქმედებები, რომელიც უკავშირდება საქმის განხილვის ვადის გაგრძელებას;
3. საქმის განმხილველი მოსამართლის მოქმედებები, ყურადღება უნდა მიექცეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოსამართლის მიერ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობას/ჩაუტარებლობას (Pafitis and others v. Greece, §93; Tiece v. San Marino, §31; Suermeli v. Germany, §129).

თუმცა, აქვე ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, საქმის განხილვის ვადა იყო გონივრული თუ არა უნდა შეფასდეს ყოველ საქმეზე ინდივიდუალურად, საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით (Frydlender v. France, §43) და ერთიანობაში ყველა საპროცესო მოქმედების მხედველობაში მიღების შედეგად (Koenig v. Germany, §98).

როგორც საჩივრის ავტორი აღნიშნავს, მოსამართლემ არ იმსჯელა მხარის შუამგომლობებზე, სარჩელის საჯარო შეტყობინების გზით გამქვეყნების თაობაზე, აღნიშნულმა კი გააჭიანურა საქმის განხილვის ზოგადი ვადა.

როდესაც ვმსჯელობთ საქმის განხილვის საპროცესო ვადის დარღვევაზე, მნიშვნელოვანია შევაფასოთ მოსამართლის დატვირთულობა, მასზე განაწილებულ საქმეთა რაოდენობა და მის მიერ დასრულებული საქმეების სტატისტიკა. 2018 წლის მონაცემებით მოსამართლეს განსახილველა ეწერა 2,140 სამოქალაქო საქმე, საიდანაც დაასრულა - 1,152 საქმე (54%); 2019 წლის მონაცემებით მოსამართლეს განსახილველად ეწერა 624 სამოქალაქო საქმე, ხოლო მათგან დაასრულა 621 საქმე (99%).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსამართლის ქმედება, რომელმაც გამოიწვია საქმეთა განხილვის ვადების გაჭიანურება, განპირობებული იყო მის წარმოებაში არსებულ საქმეთა სიმრავლითა და დატვირთულობით. ასევე, როგორც სტატისტიკური მონაცემებიდან ჩანს,

[1] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №3/1/531

მოსამართლემ მაღალი პროცენტული მაჩვენებლით დაასრულა საქმეები საანგარიშო პერიოდში, ამდენად მისი მხრიდან საქმის განხილვის ვადის ბრალეულად გაჭიანურების ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2020 წლის 12 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 14 წევრთაგან - 10 ხმით), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით, 75^{12} მუხლის მეორე პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №62/19 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი